

გლობალიზაცია, მცირე ქვეყნები და საქართველოს ეკონომიკური მომავალი

GLOBALIZATION, SMALL COUNTRIES AND ECONOMICAL FUTURE OF GEORGIA

მაია ჭანია

MAIA CHANIA

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

PhD in Economics, Assistant Profes-
sor of Sokhumi State University

ანოტაცია

მიდგომა გლობალიზაციისადმი არაერთგვაროვანია, მისი აღქმა სხვადასხვანაირია საზოგადოებაში. როგორც წესი, გლობალიზაცია წარმოადგენს ქვეყნებისა და რეგიონების დაახლოების პერმანენტულ პროცესს, რომელიც არღვევს ენობრივ, ტერიტორიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ეთნიკურ, ფსიქოლოგიურ ბარიერებს და მიმართულებას გვაძლევს კულტურულ-ცივილიზირებული ერთიანობისაკენ და სუპერ ნაციონალური სისტემის რეგულირებისაკენ.

ეკონომიკური გლობალიზაცია ეწოდება პროცესს, რომელსაც ადგილი უკავია მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბით და რომელიც მუდმივად ზრდის ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულებას. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეალური მოდელი უნდა ასახავდეს პროგრესულ იდეებსა და მიღწევებს როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ ცივილიზაციებში და ითვალისწინებდეს საქართველოს ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებს.

თავისი პოტენციალით საქართველო შეძლებს გამორჩეული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო თანამეგობრობაში. იგი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ევროპის კავშირში გაერთიანებული, ამ კავშირის თანასწორუფლებიანი და ღირსეული წევრი ქვეყანა, რაც მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პირობებს შეუქმნის მას. ჩამოყალიბდება სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობა, როგორც ქვეყნის ევოლუციური განვითარების მტკიცე გარანტი. საქართველოს გააჩნია სათანადო საბაზო რესურსები, რათა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მონახოს თავისი ისტორიული ადგილი და შეასრულოს რეგიონში, ძლიერ კულტურულ ტრადიციებზე დაფუძნებული და გლობალიზაციის პოზიტივებზე ორიენტირებული ქვეყანის როლი.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია; ეროვნული ეკონომიკა; ეკონომიკური ზრდა; ახალი მსოფლიო წესრიგი.

Abstract

Attitude to globalization is not similar, it's perception takes place in different ways. Generally, globalization is a permanent process of strengthening the inter influence and inter relation between the countries and regions, which breaks the language, territorial, economic, political, psychical barriers and directed to greet cultural-civilized unity and super national system of regulation.

Economic globalization may be called to the process taking place in the scale of world economic, which continuously strengthens the inter influence and inter relation of the national economies. The real model of social-economic development of the country, which will be correspondent with peculiarities of Georgia, should be contemplated and should depict achievements and progressive ideas existed in Western, as well as Eastern civilizations.

Georgia, with its potential will be able to take an essential place in world commonwealth. It should be imagined as a plenipotentiary and worthy member country involved in Euro Union, what will make a stable and safe conditions of development for it. Formed social-economics balance, as a firm guarantee of evolutionary development of the country. As it was mentioned for several times, Georgia has the enough basis resources, in order to find its historical place under the conditions of modern globalization end maintain a role of leader in the Region, as the country based on strong cultural traditions and orientated on positives of globalization.

Key words: Globalization; National Economy' Economic Growth; The New World Order.

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი სულ ახალ-ახალ სახელმწიფოს ითრევს თავის მორევში. დასავლეთის დემოკრატიულ სივრცესთან თანდათანობით დაახლოებით, დიდი საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში მონაწილეობით ამ პროცესში თავისთავად ებმება საქართველოც. „ინდუსტრიული საზოგადოების გადაზრდამ პოსტინდუსტრიულში ახალი ბიძგი მისცა მსოფლიო განვითარებას, დააჩქარა გლობალიზაციის პროცესი. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მან ეკონომიკას სოციალური ორიენტაცია შესძინა“ [1]. სანამ სპეციალისტები ამ ახალ, ჯერ ბოლომდე შეუსწავლელ ფენომენს იკვლევენ, მის დეფინიციას იძიებენ და ნაირ-ნაირ კონცეფციებს ამუშავებენ, ის განუხრელად შემოდის ჩვენს ცხოვრებაში და დიდ გავლენას ახდენს თითოეული ჩვენგანის აზროვნებასა და ქცევაზე. ამიტომ, თუ ვფიქრობთ მომავალზე, ვაღივებულნი ვართ ვიცოდეთ, რასთან გვაქვს საქმე, ან რა ჩრდილ-ნათელი გააჩნია და რას გვიქადის გლობალიზაცია მომავალში.

გლობალიზაციაში იგულისხმება მსოფლიო მასშტაბით წარმოების გასაზოგადოება-ინტერნაციონალიზაცია. „კაპიტალის ბაზრების გლობალური ინტეგრაციის ზრდა ხელს უშლის ცალკეული ქვეყნების მიერ ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. ეკონომიკის კარგახსნილობას ურთიერთსაპირისპირო მოვლენები მოსდევს: ერთი მხრივ, მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყნების მუდმივობათა ინტეგრაცია, იქმნება თავისუფალი სავაჭრო ზონები, ხოლო მეორე მხრივ, ცალკეული ქვეყნები ამჟღავნებენ მსოფლიო ბაზრის სურვილს“ [2]. კაპიტალის თავისუფალი ბრუნვა, საერთო ბაზრის ჩამოყალიბება, ინფორმაციის, იდეების, თანამედროვე მეცნიერებისა და მარკეტინგის გამოცდილების სწრაფი გაცვლა, ყოველივე ეს გლობალიზაციის უცილობელი შედეგია. აქედან გამომდინარე, იგი ხელს უწყობს პოლიტიკურად, ეკონომიკურად, იდეოლოგიურად მოწესრიგებული სამყაროს ჩამოყალიბებას. ეკონომიკური გლობალიზაცია, ერთის მხრივ შეიძლება განვიხილოთ, როგორც პროგრესული მომენტი. ეს იმით აიხსნება, რომ იგი პლანეტაზე არსებული შეზღუდული რესურსების ეფექტიანი გამოყენების საშუალებაა და შესაძლებლობას იძლევა თითოეულმა ეროვნულმა სახელმწიფომ საგარეო ვაჭრობის მეშვეობით, ნაკლები დანახარჯის გაღებით, შეივსოს მისთვის აუცილებელი რესურსი. ამ გაგებით, გლობალიზაცია, ეკონომიკური თვალსაზრისით, ყველასთვის მომგებიანია, როგორც მდიდარი, ასევე ღარიბი ქვეყნებისათვის, რამდენადაც საბოლოო ანგარიშში იზრდება მსოფლიო წარმოებითი შესაძლებლობების მრუდი. ამასთან, მსოფლიო სულ უფრო და უფრო ურთიერთდამოკიდებული ხდება და იქმნება კაცობრიობის გაერთიანების, გამყარების შესაძლე-

ბლობა. ამავე დროს ტრანსნაციონალური ეკონომიკის შექმნა მრავალ ეტკვსა და შიშს წარმოშობს. ეს იმით აიხსნება, რომ გლობალიზაციის შედეგით უფრო მეტ სარგებლობას დებულობენ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები. ეს აისახება ამ ქვეყნების ეკონომიკურ ზრდასა და ცხოვრების დონის ამაღლებაში, მათ შესაძლებლობებში, თავიანთი ნება მოახვიონ შედარებით განვითარებულ ქვეყნებს, რომელთა სუსტი ეკონომიკა ხდება მდიდარი ქვეყნების ეკონომიკის დანამატი, მათთვის იაფი ნედლეულის, სამუშაო ძალის მიმწოდებელი და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია - მდიდარ ქვეყნებში წარმოებული საქონლის გამსაღებელია.

საქართველო გლობალური ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია. ეს პროცესი მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება. ამიტომ საქართველოს სურს ეს თუ არ სურს, უნდა იცხოვროს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ გლობალური პროცესების გათვალისწინებით.

უეჭველია, გლობალიზაცია დაეხმარება ქვეყნების, საერთოდ კაცობრიობის აღმასვლით განვითარებას, მსოფლიო მასშტაბით თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას. რა თქმა უნდა, ის დიდ სიკეთეს მოუტანს საქართველოსაც, ხელს შეუწყობს იმ დახურული სივრციდან გასვლაში, რომელიც ასწლეულების განმავლობაში აშორებდა პროგრესულ პროცესებს, უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას და დემოკრატიული გზით განვითარებას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ვაღიარებთ გლობალიზაციის სიკეთეს, რისკ ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ. უნდა გავაცნობიეროთ ისიც, რომ გლობალიზაცია არ ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობებს. არ უნდა დაგვშვავთ, რომ გლობალიზაცია გასასამართლებელი საბუთი არ გახდეს შემტვეი, ზღვარდაუდებელი, ლიბერალური კაპიტალიზმის სასარგებლოდ, რომელსაც თან ახლავს კულტურების ნივთიერება. გლობალიზაციის ფართო სივრცის შიგნით მაინც უნდა დარჩეს ხალხათი ადგილი აზრთა სხვადასხვაობისთვის, რომლებსაც ანგარიში უნდა გაეწიოს კომპანიების მართვიდან დაწყებული, სკოლებისა და უნივერსიტეტების დაარსებით დამთავრებული. გათვალისწინებული უნდა იქნეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: ადამიანის უფლებისადმი პატივისცემა, ის ქმედითი ნორმა, რომელიც საჭიროა პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური და საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვისათვის. მცირე ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, ძალზე მტკივნეულია საკუთარი და გლობალური პრობლემების შესამება. ფაქტობრივად საქართველო მხოლოდ ახლახან ჩაერთო მსოფლიო ბაზარში, მსოფლიო ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში. მაგრამ ეს ჩართვა ცალმხრივი

აღმოჩნდა. საქართველოს გარე სამყაროდან გაც-
ილებით მეტი შემოაქვს, ვიდრე გააქვს. ეს მდგო-
მარეობა კი ახრჩობს ეროვნულ ეკონომიკას.

მსოფლიო გლობალიზაციას გვერდს
ვერც ერთი ქვეყანა ვერ აუეღის, მათ შორის საქა-
რთველოც. ის, როგორც დამოუკიდებელი, დიდი
ეკონომიკური და კულტურული ტრადიციებს
მქონე ქვეყანა, მსოფლიო გლობალიზაციით
განსაზღვრული, „ახალი მსოფლიო წესრიგის“
დამყარებას უნდა შეხვედეს შესაბამისად მომზადე-
ბული. გლობალიზაციის ერთიანი, საყოველთაო
განმარტება, დეფინიცია არ არსებობს, ამდენად
მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება იმის შესახებ,
რომ „გლობალიზაცია არის ის, რასაც ცალკეუ-
ლი ადამიანი მიიჩნევს გლობალიზაციად“. [4]
ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ერმა
ამ პროცესში, დიდი ილიას სიტყვებით „ენა, მამ-
ული, სარწმუნოება“ შეინარჩუნოს. ქვეყანამ უნდა
შეძლოს და დაიცვას ქვეყნისა და ერის ინტერე-
სები, უზრუნველყოს ქვეყნის ინტელექტუალური
დონის ამაღლება, აუცილებელია ქვეყნის ინსტი-
ტუციონალური სტრუქტურების - საფინანსო-სა-
ბანკო სისტემის, ეროვნული ინვესტიციების და
ბიზნესმენების, განსაკუთრებით საერთაშორისო
ბიზნესით დასაქმების, ყველა დონის მეწარმე-
ბის, აგრეთვე საკანონმდებლო და აღმასრულებ-
ელი ხელისუფლების ინტერესებისა და პასუხ-
ისმგებლობის დონის ამაღლება, უცხოელი ინვეს-
ტირებისა და ბიზნესმენების ეფექტიანი საქმი-
ანობისათვის ხელსაყრელი გარემო პირობების
შექმნა. ასევე აუცილებელია სამრეწველო სექტო-
რის, განსაკუთრებით მსხვილი მეწარმეობისა და
ბიზნესის განსავითარებლად მეტი ქმედითი დახ-
მარებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

საქართველოს შეუძლია და უნდა შე-
ძლოს ახალი ტექნოლოგიური სისტემების შემ-
უშავებელ, საჭიროების შემთხვევაში უცხოეთ-
ში შემქმენ და გამოქვეყნებელ ქვეყნად გადაი-
ქცეს. ქართველი პროფესიონალები ყოველთ-
ვის გამოირჩეოდნენ პროფესიულობით და თუ
შესაბამისი დაფინანსება იქნება, ამჟამადაც
შეძლებენ მსოფლიოს მიაწოდონ და საკუთარ
ქვეყანაშიც წარმატებით გამოიყენონ მსოფლიო
სტანდარტების ტოლფასი ტექნოლოგიები, გან-
საკუთრებით ქვეყნის სამრეწველო პროფილის
წარმოებაში. შორეულმა და უახლესმა ისტო-
რიამაც შემოგვინახა უამრავი ასეთი მაგალითი,
რომელიც დაამშვენებდა არა მხოლოდ პატარა,
დიდი შესაძლებლობების მქონე საქართველოს,
არამედ გაცილებით დიდ ერსა და სახელმწიფო-
საც.

საინფორმაციო რევოლუცია, ინფორმა-
ციის განვითარება და გამოყენების დიდი მასშ-
ტაბები თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი მთავარი
თავისებურებაა და გლობალიზაციისა და ახალი
მსოფლო წესრიგის დამყარების იდეის წარმოქმ-

ნისა და პრაქტიკულად განხორციელების ერთ-
ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი და ფაქტორია.
[3] ცხოვრებისეულმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ
მომავალში დიდი წარმატების მიღწევა შეუძლია
იმ ერსა და ქვეყანას, რომელსაც აღმოაჩნდება
უნარი მიიღოს და გამოიყენოს თანამედროვე ინ-
ფორმაციები საქმიანობის თითქმის ყველა სახეო-
ბის მიხედვით. საქართველოს გადარჩენა და ღირ-
სეულად დამკვიდრება ახალ მსოფლიო სისტემა-
ში დიდად იქნება დამოკიდებული განვითარების
ამ ფაქტორების ამოქმედება-გამოყენებაზე.

საქართველოს შეუძლია და ცდილობს
კიდევ, არა მხოლოდ მოიპოვოს ახალი ინფორ-
მაციები, არამედ გახდეს ინფორმაციის ტრანზ-
იტი ქვეყანაც, რაც დიდი რაოდენობით ინფორ-
მაციის მიღების შესაძლებლობასთან ერთად,
მნიშვნელოვან დამატებით ფინანსურ რესურსებს
მოუტანს მას.

საქართველოს მზადყოფნა წარმატებით
ჩაერთოს გლობალიზაციის და ახალი მსოფლიო
წესრიგის სისტემაში, დიდად იქნება დამოკიდე-
ბული იმაზე, მომზადების დონისძიებათა კომ-
პლექტში თუ როგორ გაითვითცნობიერებს და
განახორციელებს ეკონომიკის, მათ შორის სამ-
რეწველო სექტორის განვითარების დაჩქარების
ფაქტორების მნიშვნელობას. გლობალიზაციას-
თან მიმართებაში უნდა ჩამოყალიბდეს ფაქტორ-
თა ერთობლიობა, რომელთა მიზანმიმართული
გამოყენებით მომზადდება რეალური საფუძველი
სახელმწიფოებრივი აზროვნების მაღალი დო-
ნის მიღწევისათვის. ყველაზე მნიშვნელოვანი
კი ისაა, რომ ქვეყნის ეკონომიკური სისტემა
ეროვნული ფენომენიდან ამოიზარდოს. ამასთან,
იგი უნდა განვიხილოთ, როგორც ტრადიციული
მეურნეობისა და მსოფლიო პროგრესული გამოც-
დილების სინთეზის საფუძველზე ჩამოყალიბე-
ბული ეკონომიკა. ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი
და უსაფრთხო განვითარებისათვის აუცილებე-
ლია გლობალიზაციის მთავარი სუბიექტების
- ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და
სხვა საერთაშორისო სრუქტურების ფინანს-
ური, ეკონომიკური და ორგანიზაციული პოტენ-
ციალის რაციონალური და კოორდინირებული
გამოყენება. გლობალიზაციის პროცესში გან-
საკუთრებით იზრდება სახელმწიფოს სოციალ-
ურ-ეკონომიკური ფუნქციები, საგანგებოდ უნდა
გამოვეყნო ეროვნული ინტერესების დაცვის,
საერთაშორისო სრუქტურებში მონაწილეობის,
საზოგადოებასთან ინტეგრაციული კავშირების
გადრმაგების, პოლიტიკური და ეკონომიკური დე-
მოკრატიის სრულყოფის ფუნქციები. თავისი პო-
ტენციალით საქართველო შეძლებს გამორჩეული
ადგილი დაიმკვიდროს მსოფლო თანამეგობრო-
ბაში. იგი უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ევ-
როპის კავშირში გაერთიანებული, ამ კავშირის
თანაწევრუფლებიანი და ღირსეული წევრი

ქვეყანა, რაც მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პირობებს შეუქმნის მას. ჩამოყალიბდება სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობა, როგორც ქვეყნის ევოლუციური განვითარების მტკიცე გარანტი. საქართველოს გააჩნია სათანადო საბაზრო რესურსები, რათა თანამედროვე გლო-

ბალიზაციის პირობებში მონახოს თავისი ისტორიული ადგილი და შეასრულოს რეგიონში ძლიერ კულტურულ ტრადიციებზე დაფუძნებული და გლობალიზაციის პოზიტივებზე ორიენტირებული ქვეყნის როლი.

ლიტერატურა/REFERENCES

1. რ. ასათიანი. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი, 2010, გვ.17 {R. Asatiani. Globalization, Economic Theory and Georgia. Tbilisi, 2010, p.17};
2. ა. აბრალავა. “ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია”. თბილისი. 2005, გვ. 155 {A. Abzalava. “The national economy and globalization”. Tbilisi. 2005, p .155
3. Бек У. Что такое глобализация? перевод с немецкого. М., 2001; Гидденс Э. Ускользающий мир. Как глобализация меняет нашу жизнь, М., 2004 გვ.56
4. Brakman S., Garretsen H., Marrewijk CH., Witteloostuijn A. Global Economy: An introduction. გვ.18